ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 20

ქალაქი ქუთაისი 30 ოქტომბერი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის წევრის, ბესიკ ჩეჩელაშვილის კანდიდატურის შეყვანის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის მე–6 პუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 96-ე მუხლისა და 102-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე:

მუხლი 1. ჩატარდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევნები ფარული კენჭისყრით.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში შეყვანილ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის წევრის, ბესიკ ჩეჩელაშვილის კანდიდატურა.

მუხლი 3. ფარული კენჭისყრა გაიმართოს ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირის №3–ში არსებული შენობის მე–2 სართულზე არსებულ სხდომათა დარბაზში.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ფხალვარია

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა ქ რ ე ბ უ ლ ო
გას. №---20
„3“ ------11----2025 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო • საქართველო